პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 ოთხშაბათი 2 მარტი № 51 (16788) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის ვერვნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საბჭოთა ჟურნალისტი

ღონეს მოსკოვში მუშაობას იწყებს სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის IV ყრილობა. მან ყოველმხრივ უნდა განიხილოს პრესის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, საინფორმაციო სააგენტოებისა და წიგნის გამომცემლობების შემოქმედებითი პრაქტიკა, დასახოს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეათე ხუთწლედის ამოცანათა მიხედვით მისი შემდგომი სრულყოფის კონკრეტული გზები.

საბჭოთა ჟურნალისტიკა ქვეყნის ცხოვრების ამ დიდმნიშვნელოვან ამბავს ხვდება ახალი აღმავლობით, პარტიისა და ხალხის გიგანტურ რევოლუციურ-გარდამქმნელ, აღმშენებლობითს საქმიანობაში მონაწილეობის უმდიდრესი გამოცდილებით შეიარაღებული. ჩვენ გვახსოვს: მილიონობით მუშისა და გლეხისათვის გაზეთი, პარტიულ-საბჭოთა პრესა იყო პირველი პოლიტიკური ანბანი, რომლითაც ისინი ეუფლებოდნენ ახალი სამყაროს მშენებლობის ანბანსს. ჩვენი პრესა კვლავაც პირნათლად ატარებს ლენინური „ისკრის“ ალიდან ანთებულ მაღალი იდეურობისა და პარტიულობის ჩაუქრობელ ჩირაღდანს. გამოხატავს რა მშრომელთა ძირეულ ინტერესებს, იგი პარტიის მძლავრი იარაღი, მისი მებრძოლი თანაშემწეა კომუნიზმის მშენებლობაში.

საბჭოთა ჟურნალისტიკა უწინარეს ყოვლისა დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობაა, ღრმად პატრიოტული სულისკვეთებით, აზრითა და მიზნებით, ადამიანებთან მუშაობის მეთოდებით. მისი უმაღლესი დანიშნულება სწორედ ის არის, რომ პრესის საშუალებით, პრესის დახმარებით საერთო-სახელმწიფოებრივ საზრუნავს აზიარს მშრომელთა ახალ-ახალი ფენები, განავითაროს მათი ინიციატივა, აზრი, ისტორიული შემოქმედება.

პარტიის და ხალხის პირმშო საბჭოთა ჟურნალისტიკა განასახიერებს ჰუმანიზმისა და დემოკრატიულობის კეთილშობილურ პრინციპებს, მას საფუძვლად უდევს მშრომელი ადამიანისადმი უდიდესი პატივისცემა. მშრომელთა მიღწევები და მხედრული გმირობა, აზრები და გრძნობები, სიხარული და მწუხარება, ფიქრები და მისწრაფებები. საბჭოთა ცხოვრების წესი ჟურნალისტური შემოქმედების წარუვალი და ამოუწურავი თემაა. ჩვენი პრესის ძალას, ავტორიტეტისა და კომპეტენტურობის უფლებისა და ავტორიტეტის ერთ-ერთ-ერთ-

მოწინავეთა გამოცდილება — ყველას!

როცა რეზერვებს ეძებენ

ყოველი ასალი ტიპის მანქანა—მსოფლიო სტანდარტების დონეზე! — ასეთია ბათუმელ ელექტრომექანიკოსთა გადაწყვეტილება



სურათზე: ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის მოწინავე ხარატი ვალენტინ ბახტაძე.
ვ. ბაბაიანის ფოტო.

ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხანა ქალაქის ერთ-ერთი მოწინავე და პერსპექტიული საწარმოა. მისმა ეკიპტერულ კორპუსებმა და საცხოვრებელმა სახლებმა ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მთელი დასახლება შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ქარხანა 15 წელიწადი სხვის ეკუთვნოდა ფონ შენიხლინდა ... ...

ფაქტები, პრობლემები

მსოფლიოს აქეთ-აქეთ

საქადესის კორესპონდენტები და უცხოეთის პრესის სააგენტოები იუწყებიან

ამხილებენ დანაშაულებებს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიაში

ჟენევა, (საქდესი). აქ, ერების სასახლეში გრძელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის სესია, რომელზეც დაიწყეს დღის წესრიგის მორიგი დიდმნიშვნელოვანი პუნქტის — სამხრეთ აფრიკაში ადამიანის უფლებათა დარღვევის საკითხის განხილვა.

განხილვა გახსნა სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმების ქვეყნებში არსებული მდგომარეობის გამომძიებელი სპეციალური სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ სენეგალელმა კება მბაიმ. მან სესიის მონაწილეებს წარუდგინა მოხსენება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ნამიბიასა და როდეზიაში აპარტეიდისა და რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკის შესახებ, რომელიც კომისიის სპეციალურმა სამუშაო ჯგუფმა მოამზადა. ამ დოკუმენტში შეკრებილია ვრცელი ფაქტობრივი მასალა და მოყვანილია 60-ზე მეტი მოწმის ჩვენებები, რომლებიც ამხილებენ ფორსტერისა და სმიტის რეჟიმების, ყურადღებას მიაპყრობენ რასისტებისადმი დახმარების ისეთ სახეობათა შედეგებს, როგორიცაა პირდაპირი თუ არაპირდაპირი კაპიტალდაბანდება, იარაღის მიწოდება.

სამხრეთ ლიბანი:

მდგომარეობა დაძაბულია

ბეირუთი. (საკდესი). აქ გაიმართა ლიბანის პრემიერ-მინისტრის ს. ჰოსისა, და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარის ი. არაფატის შეხვედრა, რომელზეც, როგორც „ას-საფირი“ წერს, განხილეს სამხრეთ ლიბანის ამბები და ამ რაიონში გამწვავებული ვითარების მოწესრიგების გზები.

როგორც ადგილობრივი გაზეთები იუწყებიან, ლიბანის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ს. სალამმა განაცხადა, რომ „ისრაელის შეიარაღებული აგრესია, რომელმაც გოლანის მაღლობებზე, სინაზე და მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე ვრცელი არაბული ტერიტორიების ოკუპაცია გამოწვია, დღეს ფარულ ფორმას იძენს და ისახავს იგივე მიზანს — სამხრეთ ლიბანის ოკუპაციას“.

თავის მხრივ ლიბანის პრეზიდენტი ი. სარკისი რამდენჯერმე შეხვდა და მოლაპარაკება ჰქონდა პოლიტიკურ, საზოგადო და რელიგიურ მოღვაწეებთან. ყურადღების ცენტრში იყო სამხრეთ ლიბანის მდგომარეობა, რომელიც კვლავ ძლიერ დაძაბულია.

ნიუ-იორკი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საააგენტოს ბეირუთელი კორესპონდენტი იუწყება, სამხრეთ ლიბანში ლიბან-ისრაელის საზღვრის გასწვრივ გრძელდება ბრძოლები მემარჯვენე პარტიათა შეიარაღებულ ქვეგანყოფებსა და ეროვნულ-პატრიოტული ძალების და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის გაერთიანებულ რაზმებს შორის. მემარჯვენე ძალები, რომლებიც მძიმე არტილერიას და ჯავშანმანქანებს იყენებენ, ისრაელის საცეცხლე საშფოებების დახმარებით ზიდიზედ რამდენიმე დღეა ცდილობენ ხელთ იგდონ სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი ბინტჯბეილი, რომელიც ეროვნულ-პატრიოტული ძალებისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ხელთაა. ფიცხელი ბრძოლები მიმდინარეობს აგრეთვე ქალაქ მარჯაუნის მიდამოებში.

ლიბანი

ახლოგენ მოქალაქეობრივ უფლებებს

ანჯელა დევისის განცხადება

სან-ფრანცისკო. (საკდესი). უკანასკნელი წლების მანძილზე შეერთებულ შტატებში მკვეთრად გაძლიერდა ადამიანების დევნა პოლიტიკური რწმენის გამო და რასობრივი მოტივებით, განაცხადა ცნობილმა ამერიკელმა პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ ანჯელა დევისმა.

ეს, თქვა მან საკდესის კორესპონდენტთან საუბარში, უწინარეს ყოვლისა პოლიტიკური პატიმრების რიცხვის ზრდით ვლინდება. ამას ადასტურებს მზარდი რეპრესიები პროფკავშირთა პროგრესული წევრების წინააღმდეგ, რომლებიც მატერიალური მდგომარეობის გაუარესებისა და მონოპოლიათა შემოტევის პირობებში აქტიურად იბრძვიან თავიანთი უფლებებისათვის.

ანჯელა დევისმა, რომელიც რასობრივი და პოლიტიკური რეპრესიების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული კავშირის თანათავმჯდომარეა, თქვა, რომ ეს ორგანიზაცია, რომელშიც 35 განყოფილებაა შეერთებული შტატების სხვადასხვა რაიონში, აქტიურად ილტვის პოლიტპატიმართა განთავისუფლებისაკენ, რომლებიც უკვე ბრავალი წელია საპყრობილეებში იტანჯებიან შეთითხნილი ბრალდებების გამო.

1971 წლის დამდეგიდან გრძელდება „უილმინგტონის ათეულის“ — მოცდელ ბენ ჩეიზისის მეთაურობით მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლების „საქმის“ გარჩევის პროცესი, რომლებიც ჩრდილოეთ კაროლინის შტატის სკოლებში რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციას მოითხოვდნენ. ხელისუფლებამ მათ დაუბრალეს „ხანძრის გაჩენა“, რაც ფაქტიურად ადგილობრივმა კაცმა ჭამა-ულებმა ჩაიდინეს. თუმცა ბრალდება არ დადასტურდა, თქვა ა. დევისმა იუსტიციის სამინისტრომ ამას წინათ გამოაცხადა, რომ გადაწყვიტა „ფარული გამოძიება“ მოაწყოს, რათა არსებითად განაახლოს საქმე.

სოციალიზმის ქვეყნებში

ბარიკადები სალვადორის ქუჩებში

სან ხოსე. (საკდესი). გაძლიერებული პოლიციელთა პატრულები, დახურული საწარმოები და დაწესებულებები, ცეცხლმოდებული ავტომობილები, ტანკებით გადაკეტილი გზები — ასე გამოიყურება ცენტრალური ამერიკის პატარა რესპუბლიკის სალვადორის დედაქალაქი და სხვა ქალაქები. 20 თებერვალს გამართული პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ ქვეყანას მასობრივი მღელვარება მოედო. ათასობით სალვადორელი, რომელებმაც მმართველ ეროვნული შერიგების პარტიას ჭარალად დასდეს მაქინაციები ჩქეპი დათვლის დროს და ოპოზიციის წარმომადგენელთა დაპატიმრეს, გამოვიდა ქუჩებში და ძლიერი დემონსტრაციები მოაწყო. ხელისუფალთა მუქარის პასუხად, რომ იარაღს გამოიყენებდნენ, მათ ბარიკადები ააგეს და გადაწყვიტეს საკადრისი პასუხი გაეცათ.

სალვადორის დედაქალაქის ცენტრალურ პარკში, რომელიც „თავისუფლების პარკის“ სახელს ატარებს, ბარიკადები აღმართეს ოპოზიციის ეროვნული საბჭოს მომხრეებმა პრეზიდენტობის თანამიერ კანდიდატის პოლკოვნიკ ე. კლარამონტის მეთაურობით. მათ განაცხადეს, რომ პარკს მანამდე არ დატოვებენ, სანამ არ გადაისინჯება არჩევნების შედეგები. ადვოკატთა ჯგუფმა ოპოზიციის სახელით ცენტრალურ საარჩევნო საბჭოში წარადგინა დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია უხეში დარღვევები ამასწინანდელი არჩევნების მსვლელობაში. ყურძოდ, აღნიშნულია, რომ გამოიყენეს ათასობით ყალბი ბიულეტენი, რომლებიც მმართველი პარტიის კანდიდატის სასარგებლოდ ჩაყარეს, და მოსპეს მისი მეტოქის ბიულეტენები.

მმართველი პარტიის კანდიდატი გენერალი ჯ. რომერო არ დაელოდა ხმების დათვლას და თავი მაშინვე „პრეზიდენტად“ გამოაცხადა, როგორც კი საარჩევნო უბნები დაიკეტა. ახლანდელ რეჟიმს, რომელსაც მხარს უჭერენ ამერიკის მონოპოლიები და ადგილობრივი ოლიგარქია, როგორც ოპოზიცია აღნიშნავს, არაერთხელ ჩაუდენია თაღლითობა არჩევნების დროს, რათა გაეხანგრძლივებინა თავისი ბატონობა და ხელისუფლების სათავეში არ დაეშვა ძალები, რომლებიც გარდაქმნების პროგრამას ისახავენ.

ჯ. შმიდტის განცხადება

ბონი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურმა კანცლერმა ჰ. შმიდტმა მხარი დაუჭირა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემების სახელმწიფოთა ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის პოლიტიკის განგრძობას. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქ გაბმულ სხდომაზე გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ ამ მიზნისა უნდა ემსახუროს უწინარეს ყოვლისა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელიც ბელგრადში გაიმართება.

„ჩვენ დაინტერესებული ვართ, — თქვა შმიდტმა, — რომ ამ შეხვედრამ განაძლიერა ნდობა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკისადმი“.

კანცლერმა თქვა აგრეთვე, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება „დამოკიდებული იქნება ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური უთანხმოებების მდგომარეობაზე და მთლიანად საერთაშორისო დაძაბულობის პოლიტიკის განგრძობაზე“. ამასთან დაკავშირებით ჰ. შმიდტმა გამოთქვა იმედი, რომ „ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის დაძაბულობის შენელების პოლიტიკა კვლავ გაგრძელდება“ და გამოიხატება „სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მეორე შეთანხმების დაღების შესახებ მოლაპარაკების დამთავრებით“.

ჯ. შმიდტი

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲚᲘᲑᲐᲜᲘ: ᲡᲐᲛᲘᲡᲘᲝᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲓᲐᲙᲐᲒᲣᲚᲘᲐ

სამასი მილიარდი დოლარი წელიწადში! ეს ციფრი ყველა განვითარებადი ქვეყნის ერთად აღებულ ეროვნულ შემოსავალს აღემატება. იგი ერთნახევარჯერ აღემატება იმ თანხას, რაც მთელ მსოფლიოში განთავისუფლებულ იხარჯება, და 3,5-ჯერ — ჯანმრთელობის დაცვისათვის გამოყოფილ ასიგნებებს.

გამოანგარიშებულია, რომ ეს თანხები საკმარისი იქნებოდა, ვთქვათ, სპარის აყვავებულ ოაზისად გადაქცევისათვის ან სხვა გლობალური პრობლემების გადაჭრელად, რომლებიც სადღეისოდ კაცობრიობას საკმაოდ ბევრი აქვს. დედამიწაზე ჯერ კიდევ შიმშილობა ნახევარ მილიარდამდე ადამიანი, ასობით მილიონი უწიგნური, მოკლებული ეროვნული ბომბიცინო მომსახურებას და ჯურღმულებში ცხოვრობს.

გამალებული შეიარაღება, რომელიც ასე უაზროდ შთანთქავს უზარმაზარ თანხას, წარმოუდგენელ საშიშროებას უქმნის თვით კაცობრიობის არსებობას. ჯერ ერთი, იგი სტიმულს აძლევს მასობრივი მოსპობის იარაღის კოლოსალურ ზრდას, რომლის ახლანდელი რაოდენობაც კი თავისი დამანგრეველი ძალით ბევრად აღემატება ოდესმე არსებულს. მეორეც, იგი მძიმე ეკონომიკურ უღლად აწევა ხალხებსა და სახელმწიფოებს.

მშვიდობისმოყვარე ძალთა მსოფლიო ფორუმზე, რომელიც იანვარში მოსკოვში გაიმართა, 115 ქვეყნის 70 საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა თავიანთი ხალხების სახელით ხმამაღლა განაცხადეს, რომ მზად არიან განუხრელად იბრძოლონ დაძაბულობის შენელების გაღრმავებისათვის, განიარაღებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

სამხედრო ბიუჯეტების მოცულობასა და სტრუქტურაში სრულად აისახება სახელმწიფოთა პოლიტიკა, მათი სამხედრო დოქტრინები, ის მიზნები, რომლებსაც თავიანთ შეიარაღებულ ძალებს უსახავენ.

ჩრდილოეთ ატლანტიკურ ბლოკში გაერთიანებულმა თხუთმეტმა ქვეყანამ ბლოკის არსებობის 27 წლის მანძილზე, ოფიციალური მონაცემებით, თავისი სამხედრო ხარჯები თითქმის ცხრაჯერ გაზარდა. ამჟამად მათ წილად მოდის მსოფლიოს სამხედრო ხარჯების ნახევარზე მეტი. სადღეისოდ ამერიკის შეერთებული შტატები ომის მატერიალურ მომზადებას ახმარს ამერიკის გადასახადის გადამხდელთა სახსრების 52 პროცენტს. ინგლისი და საფრანგეთი — სახელმწიფო ბიუჯეტების — 20 პროცენტზე მეტს, გფრ — 30 პროცენტამდე.

ამერიკული გაზეთები პენტაგონის ახლანდელ ბიუჯეტს — 113 მილიარდ დოლარს რეკორდულს უწოდებენ. გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ გამოანგარიშებით, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯები კიდევ უფრო გაიზრდება და 1981 წელს თვითქმის 150 მილიარდ დოლარს მიაღწევს. ამ ვარაუდების რეალურობას გაზეთები ოფიციალურ პირთა განცხადებებიც ამტკიცებენ. მაგალითად, ყოფილი თავდაცვის მინისტრი რამსფელდი ვიდრე პოსტიდან გადადგებოდა, ყველანაირად ცდილობდა დაეწყმუნებინა თეთრი სახლის ახალი ადმინისტრაცია, რომ 1985 წლისათვის აუცილებელია 200-მილიარდიანი ასიგნებები სხვადასხვა სახის შეიარაღების ახალი „თაობის“ შექმნისა და განვითარებისათვის.

ამასთანავე ამ მოთხოვნის გამართლება ფასების ზრდითა და ინფლაციით, რასაც ადგილი აქვს დასავლეთ ქვეყნებში, ნაკლებად დამაჯერებელია. გამოანგარიშებულია, რომ მის კომპენსაციას ხმარდება იმ თანხების სრულიად უმნიშვნელო ნაწილი, რასაც პენტაგონი დამატებით ითხოვს. ასეგნებათა ძირითადი ნაწილი კი ხმარდება როგორც სტრატეგიული, ისე ჩვეულებრივი იარაღის სრულყოფას. ამას მოწმობს ყველა საბალისტიკური რაკეტით დამთავრებული) მოდერნიზაციის ამერიკული პროგრამა, აგრეთვე ძვირადღირებული „ბ-1“ ბომბდამშენების, „ფრთიანი რაკეტების“, ახალი ატომური წყალქვეშა ნავების, რაკეტული კომპლექსების შენებლობა. ამასთანავე დასავლეთში ერთი აურზაურია ატეხილი და ერთხმად გაძახიან, ნატოს წამყვანი ქვეყანა „მსოფლიოში ყველაზე ძლიერი უნდა იყოსო“, რომ მოლაპარაკებებზე ამ ამით მოედინე ზეგავლენას ახდენდეს საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებზე.

იმპერიალისტები ფარულად იყენებენ თავიანთ არმიებს ეროვნულ-განთავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისათვის. ამას დამაჯერებლად მოწმობს აფრიკის ბრუკინგსის ინსტიტუტის მიერ ამას წინათ გამოქვეყნებული კვლევის შედეგები. 1945 წლიდან მოყოლებული ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 215 შემთხვევაში გამოიყენა შეიარაღებული ძალები თავისი საგარეო-პოლიტიკური აქციების მხარდასაჭერად, ამასთანავე 33 შემთხვევაში ატომური იარაღის გამოყენებით იმუქრებოდა.

ცხადია, საბჭოთა კავშირიც განმტკიცებს თავის შეიარაღებულ ძალებს, აკეთარებს თავის იარაღს და მის მოდერნიზებასაც ეწევა, მაგრამ ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებს, რომ მას აიძულებენ. თავდაცვაზე იგი ხარჯავს ზუსტად ამდენს, რამდენიც საჭიროა ქვეყნის მყარი უშიშროების უზრუნველსაყოფად, მოძმე სახელმწიფოებთან ერთად სოციალიზმის მონაპოვრების დასაცავად. ამასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა ტელისსაფის „ოქროს ვარსკვლავის“ მედლის გადაცემისადმი მიძღვნილ სახალხო სხდომაზე გამოსვლისას განაცხადა: „...საბჭოთა კავშირის თავდაცვითი პოტენციალი საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ვერავინ ვერ გაბედოს ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრების დარღვევა. არა შეიარაღებაში უპირატესობის მოპოვების კურსი, არამედ მისი შემცირების, სამხედრო კონფრონტაციის დაცხრომის კურსი — ეს ჩვენი პოლიტიკა“.

საბჭოთა კავშირი

ᲠᲐ ᲯᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲐ?

საქართაშორისო მიმოხილვა

ხის იარაღის (თოფით დაწყებული ბალისტიკური რაკეტით დამთავრებული) მოდერნიზაციის ამერიკული პროგრამა, აგრეთვე ძვირადღირებული „ბ-1“ ბომბდამშენების, „ფრთიანი რაკეტების“, ახალი ატომური წყალქვეშა ნავების, რაკეტული კომპლექსების შენებლობა. ამასთანავე დასავლეთში ერთი აურზაურია ატეხილი და ერთხმად გაძახიან, ნატოს წამყვანი ქვეყანა „მსოფლიოში ყველაზე ძლიერი უნდა იყოსო“, რომ მოლაპარაკებებზე და ამით მოედინე ზეგავლენას ახდენდეს საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებზე.

იმპერიალისტები ფარულად იყენებენ თავიანთ არმიებს ეროვნულ-განთავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისათვის. ამას დამაჯერებლად მოწმობს აფრიკის ბრუკინგსის ინსტიტუტის მიერ ამას წინათ გამოქვეყნებული კვლევის შედეგები. 1945 წლიდან მოყოლებული ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 215 შემთხვევაში გამოიყენა შეიარაღებული ძალები თავისი საგარეო-პოლიტიკური აქციების მხარდასაჭერად, ამასთანავე 33 შემთხვევაში ატომური იარაღის გამოყენებით იმუქრებოდა.

ცხადია, საბჭოთა კავშირიც განმტკიცებს თავის შეიარაღებულ ძალებს, აკეთარებს თავის იარაღს და მის მოდერნიზებასაც ეწევა, მაგრამ ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებს, რომ მას აიძულებენ. თავდაცვაზე იგი ხარჯავს ზუსტად ამდენს, რამდენიც საჭიროა ქვეყნის მყარი უშიშროების უზრუნველსაყოფად, მოძმე სახელმწიფოებთან ერთად სოციალიზმის მონაპოვრების დასაცავად. ამასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა ტელისსაფის „ოქროს ვარსკვლავის“ მედლის გადაცემისადმი მიძღვნილ სახალხო სხდომაზე გამოსვლისას განაცხადა: „...საბჭოთა კავშირის თავდაცვითი პოტენციალი საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ვერავინ ვერ გაბედოს ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრების დარღვევა. არა შეიარაღებაში უპირატესობის მოპოვების კურსი, არამედ მისი შემცირების, სამხედრო კონფრონტაციის დაცხრომის კურსი — ეს ჩვენი პოლიტიკა“.

საბჭოთა კავშირი ერთადერთი დიდი სახელმწიფოთაგანია, რომელიც არ ზრდის თავის ხარჯებს სამხედრო საჭიროებისათვის. ოთხ წელიწადი ზედიზედ (1970-1973) სსრ კავშირის სამხედრო ბიუჯეტი უცვლელი იყო. მომდევნო ოთხ წელიწადში თავდაცვის ხარჯები ყოველწლიურად მცირდებოდა. 1977 წელს იგი შეადგენს მთელი სახელმწიფო ბიუჯეტის 7,2 პროცენტს და 0,6 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე 1976 წელს.

რაც შეეხება დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეთა ვერსიას საბჭოთა ბიუჯეტის რაღაც „ფარული მუხლების“ თაობაზე, რომელებსაც თითქოს სამხედრო მიზნებისათვის ვიყენებდეთ, მას არავითარი რეალური საფუძველი არა აქვს. სსრ კავშირის ეროვნული შემოსავლის მეტი წილი აღმშენებლობითს და სოციალურ მიზნებს ხმარდება, რაც თავისთავად გამორიცხავს რაიმე „ფარულ მუხლებს“. კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად საბჭოთა მთავრობა სახსრებს შრომის იარაღის წარმოებაში ამანდებს და არა საომარი იარაღის საწარმოებლად. ამას ცხადყოფს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის გაუხუჩელი ზრდა.

დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეებს სსრ კავშირის თავდაცვითი ბიუჯეტის და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯების შედარებისას მზდეველობიდან რჩებათ ის, რომ საქმე ეხება ორ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას. წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრება, ეკონომიკის გეგმიანი განვითარება, ეროვნული კაპიტალის და ისეთი ძალების უქონლობა, როგორიც არის იარაღის წარმოებით გამდიდრებული სამხედრო-სამრეწველო მონოპოლები. საბჭოთა სახელმწიფო ორგანოებს საშუალებას აძლევს კონკრეტული ვითარების შესაბამისად, მიზანშეწონილად განსაზღვრონ თავდაცვის ხარჯები. ჩვენი ეკონომიკისათვის უცხოა ისეთი მოვლენები, როგორიც ფასების ზრდა და ინფლაციაა. ერთი სიტყვით, მეურნეობის გაძღოლის თვით სოციალისტური სისტემა ქმნის იმ უპირატესობებს, რომლებიც საბჭოთა კავშირს საშუალებას აძლევს ნაკლები დანახარჯებით (ისევე როგორც ქვეყნის განვითარების ყველა სხვა დარგის დაფინანსებისას) შეინარჩუნოს თავდაცვისუნარიანობის საჭირო დონე. საბჭოთა კავშირს არა აქვს სამხედრო ბაზები ქვეყნის ფარგლებს გარეთ, შეერთებულ შტატებს კი ისინი მთელ დედამიწაზე აქვს გაბნეული და ახალ ბაზებსაც აშენებს. ამდენად ყველაფერი ეს გათვალისწინებული უნდა იყოს, როცა შეიარაღებული ძალების შენახვისა და მათი უზრუნველყოფის ხარჯებს ვანგარიშობთ.

მართალია თავდაცვის ხარჯები ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო ბიუჯეტის უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს, ვიდრე წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში, მაგრამ იგი თავისთავად მაინც საგრძნობ სახსრებს გვართმევს და საბჭოთა ადამიანებს მხოლოდ ერთი სურვილი ამძრავებს, რომ ეს სახსრები ცხოვრების დონის ამაღლებას, აღმშენებლობითს მიზნებს მოახმარონ.

ხალხის ნება-სურვილს რომ ასრულებს, საბჭოთა მთავრობა დასავლეთის ქვეყნებს სთავაზობს სამხედრო საჭიროებისათვის ხარჯების შემცირებას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უკანასკნელ სესიაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ კვლავ წამოაყენა სამი წლის წინათ შეტანილი წინადადება უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტების 10 პროცენტით შემცირების და დაზოგილი თანხების ნაწილის განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად გამოყოფის შესახებ. მაშინ ეს წინადადება დასავლეთის ქვეყნების პოზიციის გამო ბლოკირებულ იქნა. ვცდილობთ რა საქმის აღგილიდან დაძერას, განაცხადა ამხანაგმა ა. ა. გრომიკომ, ჩვენ მზად ვართ გამოვაქვეყნოთ ურთიერთმისაღები კონკრეტული ციფრები, რითაც უკვე 1977 წლიდან დაიწყებდით სამხედრო ბიუჯეტების შემცირებას.

საბჭოთა კავშირს სამხედრო ბიუჯეტების შემცირება მიაჩნია ერთ-ერთ გადამწყვეტ ნაბიჯად გამალებული შეიარაღების ალაგმვის, სახელმწიფოებს შორის ნდობის განმტკიცების და პოლიტიკური დაძაბულობის შენელების სამხედრო დაძაბულობის შენელებით შევსების საქმეში.

ს. ფედოსეევი,
ახალი ამბების საააგენტოს სამხედრო მიმომხილველი.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘ

ᲠᲐᲓᲘᲝ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲖᲔ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲘᲩᲔᲜᲔ.

საბჭოთა კავშირი ინტერესებს ინარჩუნებს ეროვნულ-კულტურული ურთიერთობების ფართოდ განვითარებისადმი, ეროვნული ენების, ეროვნული კულტურების, ეროვნული ტრადიციების, ეროვნული ხელოვნების, ეროვნული ლიტერატურის, ეროვნული ფერწერის, ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული ტექნიკის, ეროვნული ინჟინერიის, ეროვნული ტექნოლოგიის, ეროვნული ინდუსტრიის, ეროვნული ენერგეტიკის, ეროვნული ტრანსპორტის, ეროვნული ფინანსების, ეროვნული ბანკების, ეროვნული ბიუროკრატიის, ეროვნული ინტელიგენციის, ეროვნული ბურჟუაზიის, ეროვნული ბანდიტიზმის, ეროვნული ფეოდალიზმის, ეროვნული ეგოიზმის, ეროვნული ეგოცენტრიზმის, ეროვნული ეგზოტიკის, ეროვნული ეგზემის, ეროვნული ეგზეკუციის, ეროვნული ეგზისტენციალიზმის, ეროვნული ეგზეგეზის, ეროვნული ეგზალტაციის, ეროვნული ეგზალტირებულობის, ეროვნული ეგზალტირებული ეგზალტაციის, ეროვნული ეგზალტირებული ეგზალტირებულობის, ეროვნული ეგზალტირებული ეგზალტირებული ეგზალტაციის, ეროვნული ეგზალტირებული ეგზალტირებული ეგზალტირებულობის, ეროვნული ეგზალტირებული ეგზალტირებული ეგზალტირებული ეგზალტაციის, ეროვნული ეგზალტირებული ეგზალტირებული ეგზალტირებული ეგზალტირებულობის, ეროვნული ეგზალტირებ

მობრძანდა გაგაფხულო



ტყის ჰანგები

დადგა გაზაფხული. ზამთრისა და გაზაფხულის შეყრა გვიცავს თავისი კონტრასტებით: ჩრდილში ჯერ კიდევ ზამთარია გარინდული, მზეზე — გაზაფხულის ნაფური წყლის პირველი წვეთები მოწაწკარებენ. დგება სიცივისა და სითბოს გაუგონარი „მეგობრობის“ ჟამი, ხალხურად — „მარტის დღეს არც ცხელი და არც ცივი“.

ტყესაც ესტუმრა ნაადრევი გაზაფხული. ჯერ კიდევ შიშსა და რიფს ჰბადებს ხეობათა ვიწროებში ჩაწოლილი პირქუში ნამქერები, ტევრთა დანისლული წყვდიადი...

გახანგრძლივებულმა დღემ, მზის ჭარბმა სხივებმა, წლევანდელმა ივნვიათად თბილმა თებერვალმა შეატორტმანა ყოველი ცოცხალი. ბუნებრივი ძალების მხოლოდ ამ მძლავრ ბიძგს შეეძლო დაერღვია ხე-ბუჩქებში ჩასაგურებული უდრტვინველი, თითქოს და მარადიული სიმშვიდე. ველმინდვრებმა, უფრო მოგვიანებით ტყემაც, თავი დაალწია ხალათის ძილს.

ღამ-ღამობით ჯერ კიდევ ზამთრის ყაიდაზე სუსხავს, ზოგჯერ ქარბუქიც წამოუბერავს. მაგრამ რა სიურპრიზიც არ უნდა მოგვიმზადოს ადრე გაზაფხულმა, სულ უფრო ძლიერი და ანრომატული ხდება სურნელი. ნაირფერად დამსკდარი კვირტებისა...

მოდი შევიხედოთ ადრიანი გაზაფხულის ტყეში, ირგვლივ სრული სიჩუმეა. ასე გგონია, შეს მეტი არაკინაა მცენარეთა ამ უტყვ სამყაროში. მაგრამ, აგერ უცებ კაკაბმა ჩაიჩიკინა, მას მხარი აუბა ჩხიკვმა — „არიქა, კაცი გამოჩნდა, თავს უშველეთ, ფრთხილად იყავითო“. აურზაურით და გნიას-გნიასით აფრთხილებენ ნადირთ, ფრინველთ ტყის ჭირვანები. და მართლაც, ამ წუთიდან ყველა ცოცხალი ას თვალს გამოიბამს, სმენად გადაიქცევა.

ჩასანიშნავად ერკვევიან ტყის ამ დაუსრულებელ კაკაფონიაში ბუნების შვილნი. იმის გასარკვევად, თუ როდის იყვნენ მშვიდად და როდის ფხიზლად, სრულებით არ არის საჭირო კაპასი კაკაკში. აი, წყვილი შეელი ორტნის ნაზამთრალ ბალახს. კოდალას კაკუნზე ჩლიქოსნები მშვიდად განაგრძობენ ბალახობას. მაგრამ საკმარისია კოდალამ თავისი სამეთვალყურეო პუნქტიდან შეამჩნიოს მოახლოებული ხიფათი და წვიალ-ყვავილით გაეცალოს იქაურობას, რომ შვლებიც ყურებს დაცქვეტენ. ბეერათა ეს უეცარი შეცვლა განგაშის სიგნალია ტყის ბინადართათვის. ანდა აი თახვები ღრღნიან ხეს და მათი მონოტონური ხმაური ყველა ახლოს მცხოვრებთათვის სიმშვიდის ნიშანია, მაგრამ საკმარისია თახვმა ჩაყვინთოს, კუდით წყლის ზედაპირზე ძლიერი ტაპანი მოადინოს — ყველამ, ვისაც კი ყური აბია, იცის: ხიფათი ახლოდებაა!

ბუნების ბგერები ხშირად ინფორმაციათა რთული სისტემაა. თუ კარგად ვერკვევით ამ სისტემაში, ჩვენ, ადამიანებს შეგვიძლია სწორად დავასკვნათ, როგორ მოიქცევიან ცხოველები ამ ხმების გაგონებაზე. გაუწაფავ ბუნების მოყვარულს ეს სიგნალიზაცია თავ-გზას უბნევს, უკვირს: სად იკარგება მის ცხვირწინ ყოველი სულიერი? სულ სხვაა გამოცდილი ნატურალისტი. ტყის ბგერები მისთვის მშვენიერი ორიენტირია.

დაღამდა. შუაღამისას ჩუმდება ყმელა სულიერი. ირგვლივ დასადგურებულ უჩვეულო სიწყნარეს უძილო და მშიერი რუხი ყაჩაღების — მგლების ყმეილი თუ არღვევს კანტი-კუნტად. შემდეგ ისევ სიჩუმე მეფდება...

ვისაც ტყეში კოცონთან თუნდაც ერთი ღამე გაუთენია, მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება ეს წუთები. ბეერათა ამ საგალობელში თავდავიწყებულს სულ ადარ ახსოვს თავიანი ნაფერები თოფი. უსმენს კარს მოძდგარი გაზაფხულის ბგერათა ამ დიდებულ ჰარმონიას და ფიქრობს: ამ სიმფონიის თვითეული ბგერის გამოკლება — უდიდესი მკრეხელობაა დედამიწის წინაშე...

არნ. გეგეჭკორი,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

* * *

სურათებზე: ასე აყავდება ვერხვი და სოჭი; პირველ ნადირობაზე.

მკითხველს თხოვნით

ჩვენი გაზეთის 5 და 8 თებერვლის ნომრებში გამოქვეყნდა ინფორმაციები, რომლებშიც ლაპარაკი იყო დოსაფის ლატარიის ერთნაირი სერიისა და ნომრის ბილეთებით აიტომანქანა „ვოლგა-24-ის“ მოგების შესახებ. ამ ცნობამ ზოგიერთი მკითხველის გაკვირვება გამოიწვია და რედაქციას ამის თაობაზე მრავალი შეკითხვა მოსდის.

ცენტრალურ გაზეთებში („სელსკაია ჟიზნი“ და სხვ.). მიმდინარე წლის 12 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ ცხრილს თან ახლავს სათანადო განმარტება. ამ განმარტების დაკვირვებით წაკითხვა ნათელ წარმოდგენას მოგვცემს იმაზე, თუ რატომ ხვდა მოგება ლატარიისა და ნომრის ბილეთებს, განმარტებაში აღნიშნულია:

„1976 წლის სსრ კავშირის დოსაფის ლატარიის მეორე გამოშვებას აქვს 160 თანრიგი, რომლებზეც გათამაშებულია 7 მილიონ 520 ათასი ნივთმოგება და ფულადი მოგება.

მოგებათა ტირაჟი მოიწყო ლატარიის ერთ თანრიგზე, რომელიც 500 ათასი ბილეთისაგან შედგება.

ამ ცხრილში აღნიშნული მოგებანი გაიცემა ლატარიის ას სამოც თანრიგში (161-დან 320-მდე ჩათვლით) არსებული შესაბამისი სერიებისა და ნომრების ლატარიის ბილეთებით. მაგალითად, ცხრილში აღნიშნულია, რომ ავტომობილი „ვოლგა-24“ მოიგო № 119298 სერიის № 030 ბილეთმა. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული მოგება ხვდა ახეთივე ნომერაციის ბილეთს ას სამოცივე თანრიგში, თვითეული თანრიგის ამავე სერიის ბილეთების დანარჩენმა 99-მა ნომერმა მოიგო თითო მანეთი.

ამრიგად, ოფიციალურ ცხრილში აღნიშნულია მხოლოდ ერთი ბილეთი, რომლის სერიასა და ნომერს ხვდა მოგება ავტომობილი „ვოლგა-24“, ფაქტიურად კი ავტომობილი „ვოლგა-24“ მოიგო აღნიშნული ნომერაციის ბილეთების 160-მა მფლობელმა.

ასეთივე წესით არის გათამაშებული სხვა ნივთმოგებანი და ფულადი მოგებანი“.

ვინ მოიგო „ვოლგა“?

ჭადრაკი

პრეტენდენტთა მატჩებზე

როტერდამში მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა ლარსენისა და პორტიშის მეორე პარტია (თეთრებით ლარსენი თამამობდა) მე-20 სვლაზე დამთავრდა ყაიმით. ორი შეხვედრის შემდეგ წინ პორტიშია — 1,5:0,5.

ლიუციერნში (შვეიცარია) მეკინგ-პოლუგაევსკის მეორე შეხვედრა არ გამართულა ბრაზილიელის ავადმყოფობის გამო.

ჩოკოში (იტალია) კორჩნოიმ და პეტროსიანმა ყაიმით დაამთავრეს თავიანთი პირველი პარტია.

ჩინებული შედეგი

ექვსი ტური გათამაშდა პაულ კერესის მემორიალზე.

მეექვსე ტურში შეჯიბრების ლიდერმა, მსოფლიოს ექსჩემპიონმა ტალმა (რიგა) მოუგო საერთაშორისო ოსტატ პრიბილს (ჩეხოსლოვაკია) და ახლა ლიდერობს ჩინებული შედეგით — 5,5 ქულით 6 შესაძლებლიდან. 5 ქულა აქვს დიდოსტატ ულმანს (გდრ). ჯერჯერობით ბრძოლა პირველი ადგილისთვის სწორედ ტალსა და ულმანს შორის მიმდინარეობს.

ნიუ-იორკი იწვევს „ოლიმპიადა—84“-ს

ამერიკის შეერთებული შტატების ლიკა-პალისადის შემდეგ, რომელიც დამტკიცებულია 1980 წლის ზამთრის ოლიმპიადის ადგილად, კიდევ ერთმა ამერიკულმა ქალაქმა ნიუ-იორკმა გაიცადა სურვილი მიიღოს 1984 წლის საზაფხულო ოლიმპიადა. ამის შესახებ განაცხადა ნიუ-იორკის შტატის ხელისუფალთა ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

ორიოდე სიტყვით

თბილისშრომელი. დიდი წარმატებით გამოვიდნენ ფიხეთის ქალაქ ლაბტში გამართულ ტრადიციულ თამამფეხი საჰეთა სპორტსმენები, რომლებმაც შვიდი ოქროს ჯილდო მოიკრეფეს ცხრიდან. 21 წლის კიროველმა სტუდენტმა, ბაკურიანის ტრამპლინების ჩემპიონმა ალექსი ბოროვიტინმა გაიმარჯვა 90-მეტრიან ტრამპლინზე — ხტომები 113,5 და 109,5 მეტრზე. ძან 21 ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გამოსულ მსოფლიოს ჩემპიონს ვალტერ შტაინერს (აღმოსავლეთ გერმანია).

ბაკურიანში მიმდინარეობს სსრ კავშირის მრავალტურიანი ჩემპიონატის მესამე ტური გაზეთ „ლენინის პრიზზე“, რომელშიც 70-მდე სპორტსმენი გამოდის. აღსანიშნავია 12 წლის კამჩატკელი მოსწავლის ირინა საუგონელის გამარჯვება გიგანტური სლალომის ტრასაზე — 67,67 წამი. სწრაფდაშვებაში 16 წლის ბაკურიანელი მოსწავლე ვიქტორ სანაკოევი მეოთხე ადგილზე გამოვიდა.

ველოსპორტი. კუბის ტრადიციულ მე-12 საერთაშორისო ველორბოლის უკანასკნელ ეტაპზე (კონსოლასიონი — ჰავანა, 170 კმ.) გიმარჯვა ლენინგრადელმა ვლადიმერ ოსოკინმა — 4 საათი, 19 წუთი და 40 წამი. რბოლა მოიგო კარლოს კარდენატმა (კუბა). კუბიბმეველი ალეჰანდრე აკერინი მეორე ადგილზეა. გუნდურ ჩათვლაში გიმარჯვეს მასპინძლებმა, მომდევნო ადგილზეა საბჭოთა ნაკრები.

ბალანბურთი. ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ლიდერმა ცსკა-მ მოსკოვში ანგარიშით 100:84 (40:42) მოუგო უმაღლესი ლიგის დებიუტანტს — ვლადივოსტოკის „სპარტაკს“.

ხელბურთი. გინსკში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატზე (მეორე წრის მეორე ტური) ვაჟთა გუნდებს შორის თბილისის „ბურევესტნიკმა“ დაძაბულ ბრძოლაში ერთი ქულის სხვაობით აჯობა კრასნოდარის „უნივერსიტეტს“ — 23:22 (12:12).

ფეხბურთი. დღეს მიუნხენში გაიმართება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი მატჩი. მიუნხენის „ბავარიასა“ და კიევის „დინამოს“ შორის. ცენტრალური ტელევიზია აწყობს ამ შეხვედრის რეპორტაჟს 22 ს. და 35 წუთიდან (თბილისის დროით).

ვ. კუპრაძე

გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, სკკპ წევრი 1945 წლიდან **პლატონ დიმიტრის-ძე კუპრაძე.**

პ. კუპრაძე დაიბადა 1909 წელს ქ. ქუთაისში. 1935 წელს ამერკავკასიის ლენინის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მან გაიარა სპეციალისტისათვის შესახიშნავი გზა ტრესტ „საქართველოს ჩაის“ მახარაძის მექანიკური სახელოსნოს უფროსიდან ტრესტის მმართველის მოადგილემდე.

1945 წლიდან 1957 წლამდე პ. კუპრაძე ხელმძღვანელობდა ინსტიტუტ „საქკვებპროექტს“. აღნიშნულ პერიოდში პ. კუპრაძე ნაყოფიერ მუშაობას უწევდა როგორც სამამულო, ისე ვეტერანების ტიმოკრატიული რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის განვითარების საქმეში.

1963 წელს პ. კუპრაძე ინიშნება კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსად — კოლეგიის წევრად. მას თავისი წვლილი შეაქვს ახლადჩამოყალიბებული სამინისტროს ორგანიზაციულ და საწარმოო საკითხების მოგვარებაში. 1966 წლიდან პ. კუპრაძე ხელმძღვანელობს მოსკოვის ხორცის მრეწველობის საწარმოების პროექტირების სახელმწიფო ინსტიტუტის ქ. თბილისის კომპლექსური პროექტირების განყოფილებას.

რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი პ. კუპრაძე უკანასკნელ დღემდე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა კვების მრეწველობის სამინისტროს საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროში, როგორც ექსპერტი.

მესანიშნაი მუშაკის პ. კუპრაძის ხსოვნა მარად დარჩება მისი ამხანაგების გულში.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო; საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო; საქართველოს კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი; საქართველოს კვების მრეწველობის რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოება; საქართველოს გაერთიანება „საქართველოს ჩაი“.

ეკონომია

მარტი

დადგა გაზაფხული — ჟამი ბუნების გამოეცოცხლებისა, როგორი იქნება წლევანდელი გაზაფხულის პირველი თვე — მარტი?

დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში და ქართლის ვაკეში ნალექი მოსალოდნელია ნორმაზე ნაკლები, შიდა კახეთში — ნორმაზე მეტი, საქართველოს დანარჩენ რაიონებში — ნორმის ფარგლებში.

დასავლეთ საქართველოში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა დაბლობებში მოსალოდნელია 5-7 გრადუსის ფარგლებში. მოსალოდნელი ნალექების თვიური ჯამი ჩრდილოეთ მთიან რაიონებში შეადგენს ზოგან 30-40 მმ-ს, აჭარის დაბლობ რაიონებში 200-240 მმ-ს, დანარჩენ რაიონებში — 70-140 მილიმეტრს.

თვის განმავლობაში მოსალოდნელია უმეტესად ცვალებადი მოღრუბლულობა, ხშირი ნალექებით, ყველაზე ცივი ამინდი — თვის დასაწყისსა და შუა რიცხვებში, ყველაზე თბილი — თვის ბოლოს.

აღმოსავლეთ საქართველოში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა დაბლობებში მოსალოდნელია 2-6 გრადუსი, მთებში 2 გრადუს ყინვიდან 1 გრადუს სითბომდე, მაღალმთიან რაიონებში კი 2-7 გრადუსი ყინვა.

ნალექების თვიური ჯამი შიდა კახეთში და ჩრდილოეთ მთიან რაიონებში მოსალოდნელია 80-120 მმ, ქართლის ვაკის აღმოსავლეთ რაიონებში 25-მმ-ზე ნაკლები, დანარჩენ რაიონებში — 25-50 მმ.

ყველაზე ცივი ამინდი მოსალოდნელია თვის დასაწყისსა და შუა რიცხვებში, ყველაზე თბილი — თვის ბოლოს.

ქ. ჭელიძე,
თბილისის ამინდის ბიუროს ინჟინერ-სინოპტიკოსი.

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

საქართველოს სსრ ხელოვნების ინსტიტუტი ქალაქის გამგეობა აცხადებს კონკურსს

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა დასურათებაზე

კონკურსის მიზანია დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის **დაბადების 140 წლისთავთან დაკავშირებით შეიქმნას მწერლის ნაწარმოებთა მაღალმხატვრული ილუსტრაციები.**

ნაწარმოების შერჩევა თავისუფალია; კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს.

კონკურსზე წარმოდგენილი უნდა იქნეს: ილუსტრაციები ზომით 60X45, მასალა — ქაღალდი ან მუყაო, შესრულების ტექნიკა ნებისმიერია.

კონკურსზე ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა ილუსტრაციები წარმოდგენილი უნდა იქნეს დევიზით და ახლდეს ამავე დევიზით გაფორმებული კოვერტი, რომელშიც აღნიშნული იქნება ავტორის (ავტორთა) გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი და ტელეფონის ნომერი.

თუ ერთი დევიზით წარმოდგენილი ნამუშევარი რამდენიმე ავტორის ქმნილებაა, კონვერტში აღნიშნული და ხელმოწერითი დადასტურებული უნდა იქნეს პრემიის განაწილება პროცენტობით.

საკონკურსო მასალები წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს სსრ მხატვართა კავშირში (რუსთაველის პრ. 7), 12 სექტემბრიდან 14 სექტემბრის 18 საათამდე.

სხვა ქალაქებში მომუშავე ავტორებმა საკონკურსო მასალები უნდა გამოგზავნონ აღნიშნულ ვადაში და მიმღები კომისიის თავმჯდომარეს დეპეშით აცნობონ გამოგზავნის თარიღი და ქვითრის ნომერი.

საკონკურსო მასალების წარმომდგენს მიეცემა მიმღები კომისიის სპეციალური ქვითარი დევიზისა და ჩაბარების თარიღის ჩვენებით.

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა დასურათების კონკურსზე წარმოდგენილი ნამუშევრების ეკამოფენა გაიხსნება 1977 წლის 19 სექტემბერს და გაგრძელდება 1977 წლის 30 სექტემბრამდე.

საუკეთესო ნამუშევრებისათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

ერთი პირველი პრემია	**1000 მანეთი**
ორი მეორე პრემია	**700 მანეთი**
სამი მესამე პრემია	**500 მანეთი**

პრემიებით აღნიშნული ნამუშევრები რეკომენდირებული იქნება გამომცემლობებში ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა კრებულის თუ ცალკეულ გამოცემათა დასასურათებლად. პრემიად მიღებული თანხა არ შედის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საავტორო ჰონორარში.



თბილისის № 24 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას მძღოლისა და ოსტატის თანაშემწის სპეციალობაზე

მძღოლის სპეციალობაზე მიიღებიან 16-30 წლის ასაკის საშუალო განათლების მქონე გოგონები. სწავლების ხანგრძლივობა 10 თვეა. სწავლებისვადა მეშაობის უფასოდ სტიპენდიით ჩაეთვლებათ. მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნებიან საერთო ბინით, მიიღებენ სტიპენდიას საერთო წესით და საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავების 50 პროცენტს.

ოსტატის თანაშემწის სპეციალობაზე მიიღებიან სახელდრო სამსახურიდან დემობილიზებული საშუალო განათლების მქონე ვაჟები 30 წლის ასაკამდე. სასწავლებელში ჩარიცხული ვაჟები მიიღებენ სტიპენდიას თვეში 70 მანეთის ოდენობით. სწავლის ხანგრძლივობა 10 თვეა. სწავლებისვადა საწარმოო სტაჟად ითვლება.

მოსწავლეები სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უზრუნველყოფილნი იქნებიან სამუშაო ადგილით.

სასწავლებელში მისაღებად საჭიროა: 1. განცხადება; 2. ავტობიოგრაფია; 3. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი); 4. დაბადების მოწმობა (დედანი); 5. ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა № 286); 6. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 7. ფოტოსურათი (ზომა 3X4).

დემობილიზებულნი — პასპორტს და სამხედრო ბილეთს პირადად წარმოადგენენ.

სწავლა 1 მარტს დაიწყება.

სასწავლებლის მისამართია: თბილისი, აკაკი წერეთლის პრ. № 134, № 24 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი.

ტელეფონი: №№ 66-09-75; 66-14-60. ტრამვაი № 5; მეტროს სადგური „დიტუბე“.

დირექცია.

ქ. თბილისის 49-ე ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1977-78 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ელექტრო ხელსაწყოებს და ავტომატების ამყოლი; 2. ხარატი; 3. მტვიფრავი; 4. ზუსტი კლასის ზეთიკალ-მეიარაღე.

სასწავლებელში ჩარიცხებიან მხოლოდ საშუალო განათლების მქონე გოგონები და ვაჟები 17-30 წლის ასაკამდე. სასწავლებელში ჩარიცხული მიიღებენ სტიპენდიას 30 მანეთის რაოდენობით, ფრიადოსნები კი 25 პროცენტს ნამატით. საწარმოო პრაქტიკის გავლის დროს მიიღებენ გამომუშავების 33 პროცენტს.

ტექნიკური სასწავლებლის სწავლის დრო **შემცირებულია, ხოლო სტიპენდიას მიიღებენ 70 მანეთის ოდენობით.**

რაიონიდან ჩამოსულნი უზრუნველყოფილნი იქნებიან საერთო საცხოვრებლით. სასწავლებლის ყველა კურსდამთავრებულს უთავლეს სასწავლებელში შესვლის დროს აქვს გარკვეული შეღავათები.

სწავლა დაიწყო 1 მარტიდან. სწავლების ვადაა ერთი წელი. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. განცხადება დირექტორის სახელზე; 2 საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი); 3. დაბადების მოწმობა (დედანი); 4. დახასიათება სკოლიდან ან სამუშაო ადგილიდან; 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 6. ავტობიოგრაფია; 7. პასპორტი ან სამხედრო გაწვევის ბარათი; 8. 6 ცალი ფოტოსურათი (ზომით 3X4-ზე).

საბუთების მიღება წარმოებს ყოველდღე 9 საათიდან 17 საათამდე.

სასწავლებლის მისამართია: თბილისი, კიროვის რაიონი, გორგასალის ქ. № 115. ტელეფონი 72-11-83, 72-05-79.

ტრანსპორტი: ლენინის მოედნიდან ტროლეიბუსი № 10, ავტობუსი 19, 23. გაჩერება ქარხანა „ელექტროავტომატი“.

დირექცია.

თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო

გიწვევთ სამოგზაუროდ ტურისტული მატარებლით, თვითმფრინავით და ავტოგუსით შემდეგი მიმართულებით:

7 მარტამდე

ტურისტული მატარებლით „საქართველო“.

თბილისი-ხარკოვი-სმოლენსკი-მინსკი-ვილნიუსი-კაუნასი-კალინინგრადი-რიგა-ტალინი-ფსკოვი-ლენინგრადი-მოსკოვი-თბილისი.

საგზურის ღირებულება 155 მანეთი.

საგზურის ღირებულებაში შედის მგზავრობა, სამჯერადი კვება ვაგონ-რესტორანებში და საექსკურსიო მომსახურება ქალაქებში.

4 და 18 მარტს

ტურისტული მატარებლით **თბილისი-ხოხუმი-თბილისი, ახალი ათონის გამოქვაბულის დათვალიერება.**

საგზურის ღირებულება 26 მანეთი.

საგზურის ღირებულებაში შედის მგზავრობა ხახვრად რბილი კუპირებული ვაგონებით და საექსკურსიო მომსახურება ქ. ხოხუმსა და ახალ ათონში. მატარებელი გადის პრასკევრობით საღამოს და ბრუნდება ორშაბათს დილას.

მიიღება კოლექტიური განცხადებები:

ავიამოგზაურობაზე ქ. მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ოდესაში, მინსკში, ვილნიუსში, რიგაში, ტალინში, კიშინიოვში, ლვოვში, ვოლგოგრადში, იალტა-სევასტოპოლში, კრასნოდარ-ხოვოროსიისკში, ტაშკენტი-სამარყანდი-ბუხარაში.

რკინიგზით — ქ. სოხუმში, ბათუმში, ჭუთაისში, ბაკოში, ბაქო-კრასნოვოდსკში.

ავტობუსით ექსკურსია ქ. თბილისა და რესპუბლიკის ყველა ქალაქში.

იყიდება ათდღიანი საგზურები 1977 წლის 12 მარტდან ქ. ლენინგრადში (6 დღე) — მოსკოვი (4 დღე).

საგზურის ღირებულება 173 მანეთი. საგზურის ღირებულებაში შედის მგზავრობა თვითთფრინავით **თბილისიდან ლენინგრადამდე და მოსკოვიდან თბილისამდე,** კუპირებული ვაგონით ლენინგრადიდან მოსკოვამდე, სამჯერადი კვება, ღამის თევა და საექსკურსიო მომსახურება.

საგზურები იყიდება როგორც გადარიცხვით, ისე ნაღდ ანგარიშზე.

ჩვენი მისამართი: ქ. თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 5. ტელეფონი: 95-77-59; 95-72-24;

ქ. თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო.

„სპორტლოტოს“ მოყვარულთა კონკურსი

კონკურსის გამარჯვებულს—„მოსკვიჩი-412“

წლეულს მაისში „საქსპორტლოტო“ აღნიშნავს ხუთი წლის იუბილეს. ამ პეიოლოდი სპორტულ-ციფრობრივმა ლატარიამ ალიღონობით თაყვანისმცემელი შემოიკრიბა.

იუბილესთან დაკავშირებით „სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველო 1977 წელს აწყობს კონკურსს. კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება ის, ვინც პირველი გამოიცხობს ექვს ნომერს „სპორტლოტოს“ ან „სპორტლოტო-2“-ის ბარათებში.

გამარჯვებულს, გარდა მაქსიმალური მოგებისა, მიეცემა აგრეთვე ავტომანქანა „მოსკვიჩი-412“-ის ურიგოდ გამოყვანის ტალონი.

მიიღეთ მონაწილეობა კონკურსში, რომელიც „სპორტლოტო“ და „სპორტლოტო-2“-ის მე-7 ტირაჟიდან დაიწყო.

წარმატებას გისურვებთ, მეგობრებო!



ტელევიზია

2 მარტი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მსოფლიოს პირველობა ცეცხვებით ფიგურულ სრიალში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ტოკიოდან), 12.00 — „კინო-მგზაურობის კლუბი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა, 17.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მამისეული ტყე“, 18.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — გერმანული ენა, 18.30 — გაბნცხადებები, 18.35 — კინოჟურნალი, 18.45 — „შემნახველი ალარიები — ხალხის სასახურში“, 19.00 — „პარტიის გეგმები ხალხის გეგმებია“ — „ეფექტიანობა, ხარისხი, სტიმულირება“, 19.20 — საესტრადო კონცერტი. ფერადი გამოსახულებით, 19.40 — „ოლიმპი“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.10 — მსოფლიოს პირველობა ცეცხვებით ფიგურულ სრიალში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ტოკიოდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — 1. სპორტული მიმოხილვა, 2. ფეხბურთი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. „ბავარია“ (მიუნხენი) — „დინამო“ (კიევი) (გადმოცემა მიუნხენიდან).

მეორე პროგრამით

17.35 — კინონარკვევი „სილამაზეს მსხვერპლი არ სჭირდება“ და „ბეგლის შხამი“, 18.00 — სტუდენტთათვის — მასალათა გამძლეობა, 18.45 — დოკუმენტური ფილმი „მშვიდობის წინა ფრთაზე“, 20.10 — განცხადებები, 20.15 — მხატვრული ფილმი „სასლი სერაფიმასათვის“.

რადიო

3 მარტი

08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — მუსუტი მუსიკა, 09.25 — „რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ფ. ლისტი. პირველი სიმფონიური კონცერტი, 11.45 — „სოციალისტური შეჯიბრება. ახალი ამოცანები“, 12.15 — მღერის ა. გერმანი, 12.25 — „სცენის ოსტატები“, 12.35 — პოპულარული ქართული სიმღერები და როკსხსები, 12.45 — კომეტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — „ეკრანის მელოდიები“, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — დ. თორაძე. ბალეტ „ბორდას“ ნაწყვეტები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. ლ. ლეონოვი — „რუსული ტყე“ (გაგრძელება), 14.20 — მ. მუსორგსკი. სარკესტრო სიუიტა „სურათები გამოფენიდან“, 17.15 — საესტრადო კონცერტი, 17.35 — მოსწავლეთათვის. „კიდევაც დაიზრდებიან...“, 18.10 — ქართული ხალხური მუსიკა, 18.45 — ფანტაზიები საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერების თემებზე, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. „ლენინური პარტია — ოქტომბრის ბელადი“, 19.20 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 20.30 — ო. თაქთაქიშვილი. კამერული ნაწარმოებები, 21.00 — „ძველისპირული“, 21.10 — კონცერტი-საუბარი (გადაცემა მეორე), 22.00 — ი. ჭავჭავაძე. „გაგდეგელი“. რადიოდადგმა, 23.30 — ა. ჩიმაკაძე. სიმღერები.

თეატრი

2 მარტი

პირველი პროგრამით

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — თავისუფალი თემა; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — რას იტყვის ხალხი; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ქალაქში დადის მომავალი (პრემიერა); ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია — ლადო კეცხოველი.

კომუნისტი 380098 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, ბ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განუყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, ორგანიზაციული — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, ხიბჭოთა მშენებლობის — 93-15-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ᲡᲔ 09772

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.